ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2336600

ნომერი: AR1356340

თარიღი : 12.11.2015

გაცემის თარიღი : 10.12.2015

გაცნობის თარიღი : 10.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 21 , (ნაკვ. 64/39) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ციცინო ფუტკარაძე პ/ნ 01001000999
- წერეთლის გამზირი #89

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ალეგრო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204865271
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ციცინო ფუტკარაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001000999

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამაზ შაშიაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი გენგეგმა საკადასტრო საზღვრების და ღერძების დატაინთ;
2. ძეგლის არქიტექტურულ პროექტში წარმოდგენილი უნდა იქნას განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების სრულად ასახვით;
3. ანაზომებსა და საპროექტო ნახაზებზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები; ამასთან გაცნობებთ, რომ თუ კიბე მესამე სართულის გეგმაზე სცდება საკადასტრო საზღვრებს, წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;
4. ანაზომებზე დატანილი უნდა იქნას ნიშნულები, ღერძები და ღერძებს შორის მანძილები;
5. საპროექტო ნახაზებზე მითითებულია "დასაშლელი კედელი";
კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციაში "დაშლის" სამუშაოები არ უნდა იყოს; ამასთანავე განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია– დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება";
6. ჭრილ 4-4–ზე დატანილი იქნას ექსპლიკაცია;
7. წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი ავტორის ხელმოწერით;
8. წარმოდგენილი იქნას ძეგლის ისტორიულ–არქიტექტურული კვლევა ხელმოწერილი ავტორის მიერ;
9. საპროექტო ტერასა ზ–ზ ღერძის გასწვრივ 1-2 ღერძებს შორის განთავსებულია მიჯნის ზონაში. წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა;
10. წარმოდგენილი იქნას ფოტომონტაჟები სხვა ხედებითაც.
ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.